



20 დეკემბერი 2011წ

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)  
დეკლარაცია რაოდენობის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილებას ეხმაურება**

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) დადებითად აფასებს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-დან 190 დეპუტატამდე აღარ გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღების საფუძველად საქართველოს პარლამენტი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხრიდან საყოველთაო-საჯარო განხილვების დროს დაფიქსირებულ უარყოფით შეფასებებს ასახელებს. ზემოაღნიშნულ საჯარო განხილვებს ორგანიზებას “სამართლიანი არჩევნები” საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI) ერთად უწევდა. საჯარო განხილვები 28 ოქტომბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გურჯაანში, თელავში და ახალციხეში ჩატარდა.

“სამართლიანმა არჩევნებმა”, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან” ერთად დეკლარაცია რიცხოვნობის ზრდა 2011 წლის 27 ივნისს 8 პოლიტიკურ პარტიას შორის შეთანხმების მიღწევისთანავე უარყოფითად შეაფასა. ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ დეკლარაცია რაოდენობის გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გზით იყო მისაღები და ამასთანავე, მხოლოდ პარლამენტის წევრთა რიცხოვნობის გაზრდა ვერ აკვარებდა საარჩევნო სისტემაში არსებულ ისეთ არსებითი ხასიათის პრობლემებს, როგორცაა საარჩევნო ოლქებში ხმის წონის თანაბრობის პრინციპის უზრუნველყოფა და, ასევე, პარტიის მიერ მიღებული ხმებისა და პარლამენტში მოპოვებული მანდატების ერთმანეთთან პროპორციულობა.

“სამართლიანი არჩევნები” მიესალმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს პარლამენტმა მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები კონსტიტუციური ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საკითხები კვლავ რჩება პრობლემებად არსებულ საარჩევნო სისტემაში, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საარჩევნო სისტემის დახვეწის მსჯელობის პროცესში.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის  
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი  
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge  
ვებ-გვერდი: www.isfed.ge